წინასიტყვაობა

ეს ფოლდერი მოიცავს ინფორმაციას გამოფენაზე, სასწავლო მასალებსა და რჩევებს, რომლებიც პროგრამის წარმართვისას გამოგადგებათ. აქვე ნახავთ ფლაიერებს, რომლებიც სკოლებში და სხვა პერსპექტიულ ადგილებში გამოფენის პოპულარიზაციისთვისაა გამიზნული, და გამოფენის მონტაჟისთვის საჭირო მოკლე ტექნიკურ სახელმძღვანელოს.

ფოლდერში მოთავსებული მასალა:

- წინასიტყვაობა
- მოსწავლის წიგნი (13-დან 15 წლამდე)
- მასწავლებლის და გამოფენის ხელმძღვანელის მეგზური
- სასარგებლო რჩევები პროგრამის წარმართვისთვის
- მონტაჟის სახელმძღვანელო
- სარეკლამო ფლაიერები

გამოფენა

გამოფენა "წერა-კითხვა ანა ფრანკთან ერთად" გათვლილია 13-დან 15 წლამდე ბავშვებზე. თანმხლებ სასწავლო მასალაში შედის მოსწავლის წიგნი. გამოფენა, რომელიც ანა ფრანკის ცხოვრებას გადმოგვცემს, სპეციალურად თინეიჯერებისთვისაა შემუშავებული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანა ფრანკის დღიურს, ასევე მისი მოთხრობების წიგნსა და საყვარელი ციტატების რვეულს.

მიზნები:

1. გავიცნოთ ანა ფრანკი, როგორც მწერალი;
2. კრეატიული სავარჯიშოების გამოყენებით, წავახალისოთ წერა-კითხვის სურვილი, რისთვისაც ანა ფრანკი სანიმუშო მაგალითი იქნება;
3. შევისწავლოთ ფრანკების ოჯახის ისტორია.

გამოფენის მოსაწყობად საუკეთესო ადგილია ბიბლიოთეკა, თუმცა სხვა ადგილებიც სავსებით შესაძლებელია.

სასწავლო მასალები

სასწავლო მასალები და რჩევები უფასოდ არის ხელმისაწვდომი ანა ფრანკის სახლის ვებგვერდზე (www.annefrank.org). ეს რჩევები განკუთვნილია, როგორც ადგილობრივი თანამშრომლისთვის, რომელიც გამოფენას გაუწევს კურირებას (მაგალითად ბიბლიოთეკარი), ისე მასწავლებლებისთვის.

ინსტრუქციები

გამოფენის მონტაჟი მარტივია. სახელმძღვანელო ნაბიჯ-ნაბიჯ გიხსნით, როგორ უნდა დამონტაჟდეს გამოფენა და გაძლევთ რჩევებს, როგორ უნდა შექმნათ სასიამოვნო საკითხავი და საწერი ატმოსფერო.

პროგრამა

ბიბლიოთეკის (ან ნებისმიერი სხვა დაწესებულების) მესვეურები ამონტაჟებენ გამოფენას, პოპულარიზაციას უწევენ მას ახლომდებარე სკოლებში (ფლაიერების გამოყენებით) და იღებენ ჯგუფებს. შეგიძლიათ სარეკლამო ფლაიერზე ბიბლიოთეკის ელფოსტაც მიუთითოთ.
მოსწავლის რვეულს თან ახლავს სახელმძღვანელო, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერს ჯგუფების მიღებისა და ვიზიტის წარმართვის პროცესს.

ანა ფრანკის სახლი წარმატებას გისურვებთ პროგრამის ორგანიზებასა და განხორციელებაში!